წერილის ნომერი:**18-01182412636**
თარიღი: **29/08/2018**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 20 აგვისტოს #60-01182322438 წერილით (AR1618565) გადმოგზავნილი, მოქალაქე კახაბერ ჭუბაბრიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (დამოუკიდებელი ექსპერტების: გრიგოლ დეისაძის 2018 წლის 28 ივნისს მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, ლიბანის II ჩიხის ტერიტორიაზე (ს.კ:01.11.03.003.002) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ტერიტორიაზე ფიქსირდება 96 ძირი მწვანე ნარგავი. ვინაიდან, საექსპერტო დასკვნისა და წარმოდგენილი ტოპო გეგმის მიხდვით ვერ დგინდება კონკრეტულად რა რაოდენობისა და სახეობის მწვანე ნარგავის გადარგვას ან მოჭრას ითხოვს განმცხადებელი, აუცილებელია განმცხადებელმა წარმოადგინოს კორექტირებული საექსპერტო დასკვნა, სადაც მკაფიოდ იქნება ასახული ის ხეები, რომლებიც ყვება საპროექტო არეალში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)